გორის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს

განკარგულება № 11

2023 წლის 13 იანვარი

ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „აგრო მოლი"-ს შორის 2020 წლის 30 დეკემბერს გაფორმებული №30 პრივატიზაციის ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

,,გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 10 იანვრის №3 განკარგულებისა და ,,გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 10 იანვრის № 4 განკარგულების საფუძველზე, აუქციონი შედეგად, გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „აგრო მოლი"-ს შორის 2020 წლის 30 დეკემბერს გაფორმდა №30 პრივატიზაციის ხელშეკრულება იმ პირობით, რომ პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე (მის: ქალაქი გორი, ცხინვალის გზატკეცილის მიმდებარე ტერიტორია, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, 26950 კვ.მ; ს/კ 66.46.26.003.095) მყიდველი ვალდებული იყო მოეხდინა მიწის ნაკვეთის განაშენიანება და აშენებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღება განეხორციელებინა პრივატიზაციიდან 2 (ორი) წლის ვადაში. შპს „აგრო მოლმა" (ს.ნ 418476125) ნანა პეტრიაშვილისგან შეიძინა მიწის ნაკვეთი (მის: ქალაქი გორი, ცხინვალის გზატკეცილის მიმდებარე ტერიტორია, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, 1694 კვ.მ; ს/კ 66.46.26.003.013) და გააერთიანა თავის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთთან ს/კ 66.46.26.003.095 (გაერთიანებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდია 66.46.26.003.614).

2022 წლის აგვისტოში გორის მუნიციპალიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და ნანა პეტრიაშვილს შორის 2020 წლის 29 ივნისს გაფორმებული №7 პრივატიზაციის ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე - პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე (მის: ქალაქი გორი, ცხინვალის გზატკეცილის მიმდებარე ტერიტორია, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, 1694 კვ.მ; ს/კ 66.46.26.003.013 (ახალი ს/კ 66.46.26.003.614)) განაშენიანების განხორციელების და აშენებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების ვადად პრივატიზაციიდან 2 (ორი) წლის ვადის ნაცვლად პრივატიზაციიდან 4 (ოთხი) წლის ვადის განსაზღვრის თაობაზე.

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შესულია შპს „აგრო მოლი"-ს (ს.ნ 418476125) განცხადება, რომელშიც აღნიშნულია, რომ ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გამო გართულებული იყო მასშტაბური სამშენებლო სამუშაოების განხორციელება. კომპანია შპს „აგრო

მოლი“ (ს.ნ 418476125) აქტიურად ახორციელებს მის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე სავაჭრო და სხვადასხვა კომერციული დანიშნულების სივრცეების განთავსებასა და კეთილმოწყობას. ზემოხსენებულ მიწის ნაკვეთზე დაგეგმილია არანაკლებ 10 000 000 (ათი მილიონი) ლარის ინვესტიციის განხორციელება (მშენებლობის პროექტი შეთანხმების პროცესშია), რაც მეტად მნიშვნელოვანია ჩვენი მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „აგრო მოლი“ (ს.ნ 418476125) ითხოვს მითითებული პირობის ვადის გაგრძელებას კიდევ ორი წლით, რაც გორის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „აგრო მოლი“-ს შორის 2020 წლის 30 დეკემბერს გაფორმებული №30 პრივატიზაციის ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე - პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე (მის: ქალაქი გორი, ცხინვალის გზატკეცილის მიმდებარე ტერიტორია, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, 26950 კვ.მ; ს/კ 66.46.26.003.095 (ახალი ს/კ 66.46.26.003.614)) განაშენიანების განხორციელების და აშენებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების ვადად პრივატიზაციიდან 2 (ორი) წლის ვადის ნაცვლად პრივატიზაციიდან 4 (ოთხი) წლის ვადის განსაზღვრის თაობაზე.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „აგრო მოლი“-ს შორის 2020 წლის 30 დეკემბერს გაფორმებული №30 პრივატიზაციის ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე - პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე (მის: ქალაქი გორი, ცხინვალის გზატკეცილის მიმდებარე ტერიტორია, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, 26950 კვ.მ; ს/კ 66.46.26.003.095 (ახალი ს/კ 66.46.26.003.614)) განაშენიანების განხორციელების და აშენებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების ვადად პრივატიზაციიდან 2 (ორი) წლის ვადის ნაცვლად პრივატიზაციიდან 4 (ოთხი) წლის ვადის განსაზღვრის თაობაზე.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**